

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი  
საქართველოში  
ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

პროექტი  
„სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის  
ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“

სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის სახელმძღვანელო<sup>1</sup>

---

<sup>1</sup>წინამდებარე პროცედურები ემყარება “ენპარდის” II (ENPARD II) პროექტის ფარგლებში სხვა განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ მსგავს საგრანტო სახელმძღვანელოებს

## პროექტის შესახებ

საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში (CCRG) სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში ხორვატიის სოფლის განვითარების ქსელთან (HMRR) და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაცია PMC კვლევით ცენტრთან (PMCRC) პარტნიორობით ახორციელებს პროექტს „სოფლის განვითარებისა და დივერსიფიკაციის ხელშეწყობა ხულოს მუნიციპალიტეტში“. პროექტის მიზანია ხულოს მუნიციპალიტეტში სოფლად დასაქმებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის საშუალებით.

პროექტის ფარგლებში, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში აცხადებს 2018/19 წლებისთვის სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსს.

სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის მიზანია იმ პროექტების დაფინანსების უზრუნველყოფა, რომელთა განხორციელებაც ითვალისწინებს ხულოს 2018-2022 წლების ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პრიორიტეტებისა და საკვანძო ამოცანების საფუძველზე, ხულოში საცხოვრებელი და სოციალური-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით ექვსი პრიორიტეტული მიმართულებაა განსაზღვრული:

1. ტურიზმი სოფლად;
2. სოფლის მეურნეობა;
3. კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურა;
4. კულტურა, ჯანდაცვა, განათლება, სპორტი და ახალგაზრდობა;
5. არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობები;
6. გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა.

სოფლის განვითარების წინამდებარე საგრანტო კონკურსი ვრცელდება ხულოს მუნიციპალიტეტის მთლიან ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. გრანტები გადაეცემა მხოლოდ იმ პროექტებს, რომლებიც ასახავენ ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. გრანტები ხელმისაწვდომია საჯარო, სამოქალაქო და ბიზნეს პროექტებისთვის.

გრანტის მიღების მსურველმა აპლიკანტებმა უნდა გაიარონ საგრანტო კონკურსი, რომელიც შედგება სამი ეტაპისაგან. თითოეული ეტაპი იქნება შერჩევის პროცესი და თითოეული პროექტი საბოლოო ჯამში დაფინანსდება ან არ დაფინანსდება

ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო კომიტეტის შეფასების მიხედვით. აღნიშნული ეტაპებია:

1. პროექტის იდეის კონკურსი;
2. სრული პროექტის კონკურსი;
3. ვერბალური პრეზენტაცია.

ადგილობრივი განვითარების ჯგუფის პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანებისა და შესაძლო პროექტების/აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ, ეწვიოთ ხულოს ადგილობრივი განვითარების ვებგვერდს ([www.khulolag.ge](http://www.khulolag.ge)), ასევე, შეგიძლიათ, ეწვიოთ ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის(CCRG) ხულოს ოფისის მისამართზე: ტბელ აბუსერიძის ქუჩა#2 ან ისარგებლოთ ცხელი ხაზით **551 13 5525**ან გააგზავნოთ ელექტრონული წერილი მისამართზე: [info.enpard.khulo@caritas.cz](mailto:info.enpard.khulo@caritas.cz).

## საგრანტო კონკურსის ვადები

პირველი ეტაპი ჩატარდება 2018 წლის ზაფხულში, ხოლო მეორე - 2019 წლის გაზაფხულ-ზაფხულში. პროექტების ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 3-დან 12 თვემდე (უნდა დასრულდეს 2020 წლის ზაფხულისთვის).

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა აპლიკანტმა პროექტის იდეა უნდა წარადგინოს ელექტრონულად, ქართულ ენაზე, და გააგზავნოს მისამართზე: [info.enpard.khulo@caritas.cz](mailto:info.enpard.khulo@caritas.cz) ან უნდა წარადგინოს ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის ხულოს ოფისში ელექტრონულად, 2018 წლის 1-ლი აგვისტოდან მისამართზე: ტბელ აბუსერიძის ქუჩა #2, სასტუმრო ხულო III სართული. აპლიკაციის ფორმის ჩამომოტვირთვა შესაძლებელია ინტერნეტ გვერდიდან: [www.khulolag.ge](http://www.khulolag.ge). **პროექტის იდეის წარდგენის ბოლო ვადაა 2018 წლის 31 აგვისტო 17:30. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.**

პირველი ეტაპით განსაზღვრული პროექტის იდეის აპლიკანტების შეფასება დასრულდება 2018 წლის სექტემბერში.

სრული საპროექტო განაცხადის მიღების და მომდევნო საფეხურების ვადები განისაზღვრება პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ.

საბოლოო შედეგები გამოქვეყნდება ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინტერნეტ გვერდზე. ასევე, ყველა აპლიკანტი ინფორმირებული იქნება ტელეფონის საშუალებით.

ყველა შემდეგი პროცედურა დამოკიდებულია წარმატებული პროექტის სეზონურობასა და შესყიდვების პროცედურების გრაფიკზე.

საგრანტო კონტრაქტები ბენეფიციარებთან გაფორმდება საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან მომდევნო 20 დღის განმავლობაში.

## ინფორმაციის გავრცელება

საგრანტო აპლიკაციების მიღებამდე, ხულოს მუნიციპალიტეტში ინფორმაციის მაქსიმალურად გავრცელების მიზნით დაიწყება საინფორმაციო კამპანია. ჩატარდება შეხვედრები ხულოს მუნიციპალიტეტის 13 ადმინისტრაციულ ერთეულში (ყველა ერთეულში), რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოსახლეობისთვის სტრატეგიის მოკლე მიმოხილვის წარდგენა. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდება ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინტერნეტგვერდზე. პროცესში ჩართულები იქნებიან კარიტასის ხულოს ოფისის თანამშრომლები და ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წევრები.

სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების მიზნით, მათ შორის პროექტის იდეის ფორმის შევსებისა და წარდგენის პროცედურების შესახებ, ღია კარის დღეები ჩატარდება 2018 წლის აგვისტოში კარიტასის ოფისში (ხულოში).

აპლიკაციებისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ ფორმალური და ფაქტობრივი მოთხოვნები შეგიძლიათ, იხილოთ ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინტერნეტ გვერდზე: ([www.khulolag.ge](http://www.khulolag.ge)) და ასევე, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის ხულოს ოფისში, ზემოთ მითითებულ მისამართზე.

## გრანტის მოცულობა

სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის მაქსიმალური თანხა თითოეულ პროექტზე:

- კომერციული პროექტისთვის 2,000-დან 60,000 ევრომდე (ექვივალენტი ლარში)
- არა-კომერციული საჯარო ორგანიზაციები და მუნიციპალიტეტის მერიის პროექტებისთვის 2,000-დან 20,000 ევრომდე (ექვივალენტი ლარში)
- არა-კომერციული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროექტებისთვის 2,000-დან 20,000 ევრომდე (ექვივალენტი ლარში)

გაცვლითი კურსი განისაზღვრება ბენეფიციართან საგრანტო ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით. თანადაფინანსება (ქვე-გრანტის კონტრიბუცია) არის საგრანტო კონკურსის სავალდებულო კომპონენტი, რომელიც უნდა შეადგენდეს მინიმუმ:

- კომერციული 30%
- არა-კომერციული საჯაროორგანიზაციები და მუნიციპალიტეტის მერია 30%
- არა-კომერციული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები 15%

## კონკურსი პროექტის იდეებზე

ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ გამოცხადდება ხულოს მუნიციპალიტეტის მთელ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე. კონკურსში მონაწილეობის მსურველი აპლიკანტები ელექტრონულად წარადგენენ პროექტის იდეის ფორმას (დანართი 1) ქართულ ენაზე. აპლიკაციის ფორმის ნახვა შესაძლებელია ინტერნეტ ვერგვერდზე: [www.khulolag.ge](http://www.khulolag.ge). განაცხადის მიღება დადასტურებული იქნება ელექტრონულად.

თავდაპირველი აპლიკაციების წარდგენის შემდეგ, ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო კომიტეტი განიხილავს შემოსულ აპლიკაციებს ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიისა და სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით (პროექტის იდეის აპლიკაციების შეფასების ფორმა და კრიტერიუმები დანართი 2). წარმატებული პროექტის იდეის ავტორები, რომლებიც აკმაყოფილებენ კრიტერიუმებს და პროექტის იდეის აპლიკაციის შეფასების ფორმის მიხედვით მიიღებენ მინიმალურ გადამლახავ ქულას, გადავლენ კონკურსის მომდევნო (სრული პროექტი) ეტაპზე.

პროექტის იდეების კონკურსში წარმატებული აპლიკანტები მიწვეულები იქნებიან მეორე ეტაპზე და გადაეცემათ ინფორმაცია ტრენინგების გრაფიკის შესახებ. ამ ეტაპზე აპლიკანტები მონაწილეობას მიიღებენ ტექნიკურ ტრენინგების სრული აპლიკაციების/ბიზნეს გეგმების მომზადებაზე. შემდეგ ეტაპზე გადასული აპლიკანტების ჩამონათვალი ასევე ხელმისაწვდომი იქნება ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინტერნეტ ვერგვერდზე.

## სრული პროექტის კონკურსი

ტრენინგის დასრულების შემდეგ, აპლიკანტები, თავად, მოამზადებენ სრულ განაცხადს (აღწერითი ნაწილი და ბიუჯეტი), რომლის წარდგენაც მოხდება ელექტრონულად განსაზღვრულ ვადებში (მაქსიმუმ 5 კვირა).

თავდაპირველად პროექტები გადიან ტექნიკურ შეფასებას ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით (მოთხოვნილი თანხის შესაბამისობა იდეების კონკურსში მოთხოვნილ თანხასთან, შინაარსობრივი შესაბამისობა, განმცხადებლის იდენტურობა, პროექტის ხანგრძლივობა და სრულად შევსებული განაცხადის



ფორმები). თუკი პროექტები ტექნიკურ შეფასებას ვერ გაივლიან, ავტომატურად გამოეთიშებიან კონკურსს.

სრული პროექტის აპლიკაციებს შეაფასებენ მოწვეული ექსპერტები და შესაბამისად, მიანიჭებენ ქულას.

იგივე პროექტები შეფასდება საგრანტო კომიტეტის მიერ სრული პროექტის შეფასების ფორმის (დანართი 3) მიხედვით.

ამავდროულად, საველე ვიზიტებით შეფასდება აპლიკანტის არსებული რესურსები და მიენიჭება ქულა. საველე ვიზიტის შეფასებას შეუძლია გადახედოს, როგორც მოწვეულმა ექსპერტმა ასევე საგრანტო კომიტეტმა.

საგრანტო კომიტეტი, შეფასებისას მიღებული უმაღლესი ქულების გათვალისწინებით, გამოავლენს სრულ აპლიკაციებს, რომლებიც იქნებიან დაფინანსებული სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსის პირველი ეტაპით განსაზღვრული დაფინანსების ფარგლებში. (შეფასების სქემა დეტალურად. იხილეთ დანართი 4)

**სრული განაცხადების კონკურსში მონაწილეობის მიღება არ ნიშნავს გრანტის მიღებას.**

## ვერბალური პრეზენტაციები

საგრანტო კომიტეტი ENPARD ხულო პროექტის მენეჯერთან ერთად დანიშნავს შეხვედრას სრული პროექტის აპლიკანტებისთვის, რომლებიც წარმოადგენენ პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ ყველა დოკუმენტაციას (მაგ. რეგისტრაციის მოწმობა, ნებართვა, თანადაფინანსების დასაბუთება და ა.შ.) და ვერბალურად წარმოადგენენ საკუთარ პროექტებს. საგრანტო კომიტეტის წევრებმა შესაძლოა, დამატებითი კითხვებით მიმართონ აპლიკანტებს. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტის უმრავლესობა მხარს დაუჭერს პროექტს, მას მიენიჭება გრანტი.

## საგრანტო კონკურსში მონაწილეობის პროცედურები

სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ხულოშირეგისტრირებულ საჯარო, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და მათ, ვინც მიზნად ისახავს ბიზნესის წამოწყებას ხულოში. აპლიკანტი თანახმა უნდა იყოს საკუთარი სახსრებით თანადაფინანსებაზე (იხილეთ ცხრილი 1) დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად. პოტენციურ ბენეფიციარებს უფლება აქვთ, წარადგინონ ერთზე მეტი აპლიკაცია, თუმცა, თითოეულ კომერციული პროექტებისთვის დაფინანსდება მხოლოდ ერთი ინიციატივა, ხოლო არაკომერციული პროექტებზე დაფინანსების რაოდენობა შეზღუდული არ არის.



რელიგიურ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ისევე როგორც ფინანსურ ინსტიტუტებს, უფლება არ აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსში.

თანაბარი ქულების მიღების შემთხვევაში პრიორიტეტი მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც წარმოდგენილია ქალების და ახალგაზრდების მიერ, ასევე პროექტებს, რომლებიც ითვალისწინებს გარემოს დაცვას, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობას და ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობას, კოოპერატივებს და აქვს თანადაფინანსების მაღალი წილი.

### ცხრილი 1: დასაშვებობისა და თანადაფინანსების მოთხოვნები მთლიან პროექტზე

არაკომერციული პროექტები	ადგილობრივი მმართველობა და თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე	არაკომერციული პროექტებისთვის: მთლიანი პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 30%.
არაკომერციული, სათემო პროექტები	საქართველოს მოქალაქეები და მოქალაქეთა ჯგუფები, (აჭარის მაშტაბით) სამოქალაქო ორგანიზაციები, რომლებიც პროექტებს ახორციელებენ ხულოს მუნიციპალიტეტში	არაკომერციული/სოციალური პროექტებისთვის: მთლიანი პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 15%.
კომერციული პროექტები	მცირე საწარმოები (დასაქმებულია 10 კაცზე ნაკლები) ასევე, პირები ან ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც გრანტის მინიჭების შემთხვევაში, მზად არიან, მოახდინონ თავიანთი ბიზნესის რეგისტრაცია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.	კომერციული პროექტებისთვის: მთლიანი პროექტის ბიუჯეტის მინიმუმ 30%.

## ფინანსები და მონიტორინგი

*ა. ხარჯები, რომელთა მოთხოვნა არ არის შესაძლებელი გრანტის ფარგლებში და არ არის გათვალისწინებული განმცხადებლის თანადაფინანსებაში:*

- კრედიტების/სესხების გადახდა;
- მომავალი ხარჯების დაფარვა - ხელფასები/გადასახადები/საწვავი და სხვა ხშირი ხარჯები;
- უკვე აღებული ვალდებულებების დაფინანსება (მაგ. - სხვა წყაროდან უკვე აღებული ვალდებულებების დაფინანსება);
- ინდივიდუალური ხარჯები (მაგალითად - საგანმანათლებლო ან სამოგზაურო ხარჯები);
- ნებისმიერი ხარჯები, რომლებსაც არ ახლავს ინვოისები/გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

*ბ. ხარჯები, რომელთა მოთხოვნა არ არის შესაძლებელი გრანტის ფარგლებში, ხოლო შესაძლებელია შევიდეს განმცხადებლის თანადაფინანსებაში:*

- მიწისა და შენობების შესყიდვა;
- სამშენებლო/სარემონტო მასალები და სერვისები (500 ლარზე ნაკლები ღირებულება ერთი ინვოისით);
- მომსახურება/შრომის ანაზღაურება დადასტურებული საშემოსავლო გადასახადით;
- ცოცხალი მასალის შექმნა (მხოლოდ იურიდიული პირებისაგან, გარდა ი/მ-სა);
- ძირითადი საბრუნავი საშუალებები (ნედლეული) (რომლის საერთო ღირებულებაც 500 ლარზე ნაკლებია და გამძლეობა 1 წელზე ნაკლები);
- ლიცენზიების, ნებართვების და ა.შ. გაცემასთან დაკავშირებული ხარჯები;
- დამოუკიდებლად მოწვეული ექსპერტები და კონსულტანტები.
- B კატეგორიის ავტომობილის შექმნა.

განმცხადებლის თანადაფინანსებად შეიძლება ჩაითვალოს კომერციული პროექტებისთვის სხვა საშუალებებიდან მიღებული ნებისმიერი ფინანსური რესურსი, გარდა დონორის მიერ განხორციელებული დაფინანსებისა. არაკომერციული პროექტებისთვის შესაძლებელია თანადაფინანსებად ჩაითვალოს დონორის მიერ განხორციელებული დაფინანსება.



## მონიტორინგი და საქმის წარმოება

კონტრაქტის ხელმოწერამდე შემოწმდება ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი. გამოვლენილი ხარვეზების შემთხვევაში (მაგ. არარეალური ან დაუშვებელი ხარვეზი), განმცხადებელს მოეთხოვება ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა.

პროექტის დაფინანსების შემდეგ ყველა იურიდიული და ფინანსური დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებისთვის მონიტორინგის განხორციელების დროს. აღნიშნული დოკუმენტაცია არ გახდება საჯარო, თუ იგი არ მოიცავს კანონმდებლობით და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დარღვევებს.

ბენეფიციარმა უნდა დააკმაყოფილოს საგადასახადო კანონმდებლობის ყველა მოთხოვნა, რეგულარულად მოახდინოს ბუღალტრული დოკუმენტაციის წარმოება და შენახვა საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. დოკუმენტები ინახება გრანტის მიმღების მიერ სულ მცირე 3 წლის განმავლობაში კონტრაქტის ხელმოწერის თარიღიდან და ხელმისაწვდომია ორგანიზაცია „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“ და ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფისთვის.

გამოცდილების გაზიარების მიზნით ორგანიზაციის „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“ და ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე ბენეფიციარმა უნდა უზრუნველყოს თავისი საწარმოს ჩვენება ყველა დაინტერესებული პირისათვის საწარმო კონტრაქტის ხელმოწერიდანსულ მცირე, მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

## საგრანტო კომიტეტი

საგრანტო კომიტეტი წარმოადგენს ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მუდმივ ორგანოს. აღნიშნული ჯგუფიდან კომიტეტი შედგება 22 წევრისგან (15 ძირითადი და 7 რეზერვი). კომიტეტის წევრების კანდიდატურებს წარადგენს ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის თავმჯდომარე და დამტკიცება ხდება ადგილობრივი განვითარების ჯგუფის გამგეობის უმრავლესობის მიერ.

პროექტის იდეის კონკურსში გრანტების კომიტეტი ორგანიზებულია 5 ჯგუფად (4 კაცი თითოეულ ჯგუფში, მათგან 1 პროექტის ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენელი). ადგილობრივი განვითარების ჯგუფის მართვის ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული სამი ჯგუფის დაკომპლექტებაზე. საგრანტო



კომიტეტი პროექტის იდეის აპლიკაციების შეფასების ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით აფასებს სხვადასხვა პროექტის იდეის განაცხადებს, ფილტრავს და არჩევს

აპლიკანტებს სრული პროექტის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საგრანტო შეფასების კომიტეტის შეხვედრებში მონაწილეობს “ENPARD ხულო“ პროექტის მენეჯერი, როგორც დამოუკიდებელი დამკვირვებელი (ხმის გარეშე).

სრული პროექტის კონკურსში საგრანტო კომიტეტი ორგანიზებულია 3 წევრისგან (პროექტის ტექნიკური ჯგუფის წევრი შეასრულებს მოდერატორის როლს) შემდგარ ჯგუფებად, რომელთა არჩევა ხდება პროექტის გუნდის მიერ შემთხვევითობის პრინციპით. შემთხვევითობის პრინციპით არჩევა მოხდება ყოველი კვირის დასაწყისში სრული განაცხადების განხილვის დროს.

### გამარჯვებულები გამოვლინდებიან წინასწარ დადგენილი კვოტებით. (დანართი 5)

ვერბალური პრეზენტაციისას საგრანტო კომიტეტი “ENPARD ხულო“ პროექტის მენეჯერთან ერთად ნიშნავს სპეციალურ შეხვედრას სრული პროექტის აპლიკანტებისთვის, რომლებიც პროექტებს ვერბალურად წარმოადგენენ (პროექტის პრეზენტაცია საჯაროა).

საგრანტო შეფასების კომიტეტის წევრები გაივლიან ტრენინგებს საპროექტო განაცხადების შეფასების კრიტერიუმებსა და პროცედურებზე.

საგრანტო კომიტეტის წევრის დათხოვნა შეუძლია თავმჯდომარეს, წევრის განცხადების საფუძველზე ან გამგეობის მიმართვის საპასუხოდ.

საგრანტო შეფასების კომიტეტის წევრს არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა შესარჩევ პროცესში, თუ:

- შესარჩევი კომისიის წევრი წარმოადგენს აპლიკანტს, აპლიკანტის წარმომადგენელს, ოჯახის წევრს ან ნათესავს;
- შესარჩევი კომისიის წევრს გააჩნია სამსახურებრივი, ბიზნეს ან სხვა სახის ურთიერთობები აპლიკანტთან;
- შესარჩევი კომისიის წევრს გაწეული აქვს ფასიანი საკონსულტაციო მომსახურება პროექტის იდეების აპლიკაციების შევსებისას.
- შესარჩევი კომისიის წევრი დაკავშირებულია აპლიკანტთან რაიმე სხვა გზით ან არსებობს გარემოებები, რომლებმაც შესაძლებელია, გავლენა მოახდინონ ობიექტურ შერჩევაზე.

ინტერესთა კონფლიქტის ნებისმიერ შემთხვევაში ანუ იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო შეფასების კომიტეტის წევრს ან მისი ოჯახის წევრს გააჩნია რაიმე ფინანსური ან სხვა სახის ინტერესი აღნიშნულ პროექტში, ეს წევრი უარს ამბობს ამ კონკრეტული



პროექტის შეფასებაზე. ამ შემთხვევაში პროექტი შეფასდება კომიტეტის სხვა ჯგუფის მიერ.

## პროექტის შეფასება და ქულების მინიჭება

პროექტის იდეების კონკურსის ეტაპზე საგრანტო კომიტეტის თითოეული ჯგუფი აფასებს სხვადასხვა პროექტს. პროექტის იდეის თითოეული განაცხადი შეფასდება კომიტეტის 3 წევრისა და 1 ტექნიკური ჯგუფის წარმომადგენლის მიერ დამოუკიდებლად. თითოეულ პროექტზე ერთი შემფასებლის მიერ მინიჭებული მაქსიმალური ქულაა **100**. თითოეულ პროექტზე მაქსიმალური ქულაა **400**. პროექტი, რომელიც საერთო ჯამში, მიიღებს **200** ქულაზე ნაკლებს, ვერ მიიღებს მონაწილეობას სრული განაცხადების კონკურსში.

**არასრულად ან შეცდომით შევსებული აპლიკაციის ფორმა არ განიხილება.**

სრული პროექტის კონკურსის ფაზაში თითოეულ სრულგანაცხადზე მაქსიმალური ქულაა **170**, საიდანაც **50 ქულა** ადგილობრივი განვითარების ჯგუფის საგრანტო შეფასების კომიტეტის მიერ არის მინიჭებული, **100** ქულა - მოწვეული ფინანსური/ტექნიკური ექსპერტებისგან და **20** ქულა - სავლე ვიზიტით ტექნიკური ჯგუფისგან (ორგანიზაცია „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“ ხულოს გუნდი). პროექტებისთვის აუცილებელი მინიმუმია ექსპერტის **50 ქულა** და სავლე ვიზიტის **5 ქულა**. გამარჯვებულები გამოვლინდება მაღალი ქულების და ტექნიკური ჯგუფის მიერ დაწესებული კვოტების მიხედვით. ENPARD ხულო პროექტის მენეჯერი იტოვებს უფლებას გააუქმოს საგრანტო შეფასების კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, თუ შერჩევის პროცესის ობიექტურობაში სერიოზული ხარვეზი შეინიშნება.

ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში განაცხადებს დამატებით ეძლევათ ერთი კვირა გასაჩივრებისათვის და საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში შესწორებების შესატანად.

შეფასების შედეგები იქნება საჯარო (ხელმისაწვდომია ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ინტერნეტ ვებ-გვერდზე).

ვერბალური პრეზენტაციების ეტაპზე მოხდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კომიტეტის წევრების მიერ პროექტის დაფინანსება/არ დაფინანსებაზე ხმის უმრავლესობით.

## შეტყობინება აპლიკანტისთვის გადაწყვეტილების შესახებ

წარმატებული პროექტის განმცხადებლებსამივე ეტაპის გავლის შემთხვევაში გაეგზავნება შეტყობინება ტელეფონის/ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდგომი საფეხურების შესახებ. დამტკიცებული პროექტის იდეების/სრული პროექტების სიაც ასევე, ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონულად ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ვებ-გვერდზე.

## სააპელაციო პროცედურა

აპლიკანტებს, რომლებმაც ვერ გადალახეს პროექტის იდეების/სრული პროექტების ეტაპიშეუძლია გამოცხადდეს ორგანიზაციის „ჩხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“ ხულოს ოფისში განაცხადის უარყოფის შესახებ წერილობითი დასტურის მისაღებად (განცხადების მიღებიდან 1 კვირის ვადაში). თუ განმცხადებელთან დაკავშირება ტელეფონის საშუალებით ვერ მოხერხდა და პროექტის გუნდს შეექმნა მასთან დაკავშირების პრობლემა, ამ შემთხვევაში მხოლოდ განმცხადებელს ეკისრება პასუხისმგებლობა და 15 დღის ვადაში შეუძლია გამოცხადდეს პროექტის ოფისში.

ყველა განმცხადებელს, რომელსაც ექვი შეეპარება მისი განაცხადის შეფასებისობიექტურობაში ან ზოგიერთი პროცედურის სწორად ჩატარებაში, შეუძლია მოითხოვოს გადაწყვეტილების აპელაცია “ENPARDხულო” პროექტის მენეჯერთან და ადგილობრივი განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელთან წერილობითი ფორმით. ENPARDხულოპროექტის მენეჯერი და/ან ადგილობრივი განვითარების ჯგუფის თავმჯდომარე განიხილავენ სააპელაციო განაცხადს და მოიწვევენ განმცხადებელს ინტერვიუზე. თუ განმცხადებელი ფაქტებისა და დოკუმენტური მტკიცებულებისსაფუძველზე წარმოადგენს არგუმენტებს და დამტკიცებს პროცედურების დარღვევით ჩატარებას, პროექტის მენეჯერი და/ან ადგილობრივი განვითარების ჯგუფის თავმჯდომარე გაუგზავნის სარეკომენდაციო წერილს საგრანტო შეფასების კომიტეტს საკითხის ხელახალი განხილვისა და შემდგომ საფეხურებზე მოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გამარჯვებული პროექტებისათვის შესყიდვები განხორციელდება „ჩხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“-ს მიერ, ორგანიზაციის შესყიდვების პოლიტიკის მიხედვით.

პროექტიდან მოთხოვნილი საგრანტო რესურსები განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან.

## დანართები

### დანართი 1 \_ პროექტის იდეის განაცხადის ფორმა

<p>განმცხადებლის სახელი/იურიდიული პირის დასახელება</p>	
<p>განმცხადებლის სტატუსი (მონიშნეთ ფერადად)</p>	<p><input type="checkbox"/> კომერციული იურიდიული პირი</p> <p><input type="checkbox"/> არაკომერციული იურიდიული პირი</p> <p><input type="checkbox"/> სამთავრობო ორგანიზაცია</p> <p><input type="checkbox"/> ფიზიკური პირი</p>
<p>საიდენტიფიკაციო ნომერი და რეგისტრაციის თარიღი (ფიზიკური პირებისათვის პირადი ნომერი და დაბადების თარიღი)</p>	
<p>იურიდიული მისამართი (ფაქტობრივი)</p>	
<p>საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტა)</p>	

პროექტის შესახებ ზოგადი ინფორმაცია



პროექტის ტიპი (მონიშნეთ ფერადად)	<input type="checkbox"/> კომერციული <input type="checkbox"/> არაკომერციული, საჯარო
პროექტის დასახელება (სახელი)	
პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	
მოთხოვნილი საგრანტო თანხა	
განმცხადებლის თანადაფინანსება (თანობრივად და პროცენტულად მთლიანი ბიუჯეტის შესაბამისად)	
პროექტის დაწყების/დასრულების თარიღი	
პროექტის პარტნიორები (არსებობის შემთხვევაში)	
პროექტის ადგილმდებარეობა	
სტრატეგიის რომელ პრიორიტეტს შეესაბამება პროექტი (იხ. „ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018-2022“)	
ბენეფიციარების რაოდენობა (არაკომერციული პროექტებისთვის)	

### 1. პროექტის აღწერა

*(მაქსიმუმ 250 სიტყვით აღწერეთ სიტუაცია პროექტის განხორციელებამდე და განხორციელების შემდეგ, ასევე პროექტის მიზნები/ამოცანები, კონკურენცია, საჭიროება და ა.შ)*

**2. შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა:**

*(პროექტის განხორციელების დროსდასაქმებული ხალხის რაოდენობა და შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა)*

**პროექტის განხორციელების დროს:**

ქალი: \_\_\_\_\_ (ახალგაზრდა: \_\_\_\_\_)      კაცი: \_\_\_\_\_ (ახალგაზრდა: \_\_\_\_\_)

**პროექტის განხორციელების შემდეგ:**

ქალი: \_\_\_\_\_ (ახალგაზრდა: \_\_\_\_\_)      კაცი: \_\_\_\_\_ (ახალგაზრდა: \_\_\_\_\_)

**3. სამიზნე მომხმარებლების (არაკომერციული პროექტების შემთხვევაში**

**ბენეფიციარების) აღწერა:**

*(სქესისა და ასაკის მიხედვით)*

4. განმცხადებლის გამოცდილება და განათლება:

*(განმცხადებლის გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მოკლე აღწერა, მაქსიმუმ 200 სიტყვა)*

5. ინოვაცია და გარემოზე ზემოქმედება

*(აღწერეთ რატომ არის პროექტი ინოვაციური და რატომ არ ექნება უარყოფითი გავლენა გარემოზე გარემოს დაცვის საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მაქსიმუმ 150 სიტყვა)*

6. ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასთან შესაბამისობა

*(აღწერეთ რომელ სტრატეგიულ პრიორიტეტებს შეესაბამება პროექტი მაქსიმუმ 100 სიტყვა)*

**7. პროექტის მდგრადობა:**

*(აღწერეთ რატომ არის პროექტი მდგრადი და როგორ უნდა მოხდეს მდგრადობის უზრუნველყოფა ENPARD ხულო პროექტის შეჩერების შემდეგ, მაქსიმუმ 200 სიტყვა)*

**8. ბიუჯეტი**

*(აღწერეთ რის შესყიდვას აპირებთ პროექტისათვის და რა ფასებში. ბოლო სვეტში მიუთითეთ შესყიდვის დაფინანსების წყარო (გრანტის თანხით გასურთ შეძენა თუ თქვენი თანადაფინანსებით))*

**გაითვალისწინეთ რომ პროექტიდან მოთხოვნილი საგრანტო რესურსები განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან!**

დასახელება	რაოდენობა	საცალო ფასი	სრული ღირებულება	შესყიდვის დაფინანსების წყარო

## 9. თანხმობის ფორმა

1.	სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თანახმა ვარ, გავუზიარო ჩემი პერსონალური მონაცემები ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფს
2.	პროექტის განხორციელების დროს თანახმა ვარ, პროექტის განმხორციელებელმა („ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“) გადაიღოს ფოტოები და უზრუნველყოს დეტალური ინფორმაცია ხარჯებისა და შემოსავლების შესახებ, რომელიც მოიცავს როგორც სავალე გასვლებს ასევე, მონიტორინგის პერიოდს
3.	თანახმა ვარ, რომ პროექტის იდეის წარდგენით მონაწილეობას ვიღებ კონკურსში და ჩემთან კონტაქტი მოხდება მხოლოდ კონკურსის მომდევნო ეტაპზე მოწვევის შემთხვევაში (სრული პროექტის კონკურსი)





**დანართი 2 \_ პროექტის იდეის შეფასების ფორმა და კრიტერიუმები**

<p>პროექტის იდეის განაცხადის შეფასების ფორმა (პროექტის იდეა) პროექტის დასახელება/განმცხადებელი/პროექტის ტიპი შემფასებლის სახელი შეფასების თარიღი</p>		
<p><b>ნაწილი 1</b> სავალდებულო კრიტერიუმები, რომელიც ყველა განაცხადმა უნდა დააკმაყოფილოს</p>	<p>დიახ/არა (პროექტი, რომელიც აკმაყოფილებს სავალდებულო კრიტერიუმს, შეფასდება ნაწილში არ ყველა არ მეორე</p>	<p>შემფასებლის შენიშვნა</p>
<p>პროექტი განხორციელდება ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე</p>		
<p>პროექტის განაცხადი შეესაბამება ხულოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგია 2018-2022-ის პრიორიტეტებს (სექტორისა და ამოცანის დაკონკრეტებით)</p>		
<p>პროექტი არ არის საზიანო გარემოსთვის/განსაზღვრულია გარემოს დაცვითი ღონისძიებები</p>		
<p>პროექტი არ მოიცავს პოლიტიკურ და რელიგიურ საფუძველს</p>		
<p>პროექტის განმცხადებელი კისრულობს სავალდებულო თანადაფინანსების პასუხისმგებლობას სრულად</p>		
<p><b>ნაწილი 2</b> ქულების მისანიჭებელი</p>	<p>ქულა მაქსიმუმი ან 0</p>	<p>შემფასებლის შენიშვნა 0 ქულის</p>



კრიტერიუმები		შემთხვევაში
აუცილებლობა დადასტურებულია, ბენეფიციარების/მომხმარებლების ჯგუფი განსაზღვრულია	20	
განმცხადებელს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება/უნარები	20	
ბიუჯეტის დადასტურება ნათელია და შესაბამისი	5	
თანადაფინანსების წილი 35%-ზე მეტი	5 (1 ქულა დამატებით 5 პროცენტზე)	
შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა	15	
პროექტის მდგრადობა	15	
პროექტი გვთავაზობს ახალ მომსახურებას ან პროდუქტს ხულოსთვის	8	
გარემოზე ზემოქმედება	7	
პროექტი მხარს უჭერს ადგილობრივი ქალების/ახალგაზრდობის ჩართულობას/დასაქმებას	5	
<b>ჯამური ქულა: მაქსიმუმ 100</b>		


### დანართი 3 \_ სრული პროექტის აპლიკაციის შეფასების ფორმა

პროექტის დასაბუთება: (ბიზნეს) საქმიანობის აღწერა	13 %
პროექტის ამოცანები, შესასრულებელი სამუშაოები და შედეგები	6 %
პროექტის (ბიზნესის) სამართლებრივი ფორმა, პროექტის ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი	10 %



პროდუქცია და მომსახურება	10 %
არსებული და საჭირო რესურსების აღწერა	10 %
დონორებთან ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის გამოცდილება (საკრედიტო ისტორია)	4 %
ბაზრის / ბენეფიციარების ანალიზი	7 %
პროექტის მდგრადობა, გარემოზე ზემოქმედება და პროექტის შემდგომი განვითარების პერსპექტივები	8 %
პროექტის განხორციელების რისკების ანალიზი და რისკების აღმოფხვრის გზები	4 %
პროექტის გეგმა-გრაფიკი	3 %
პროექტის ბიუჯეტი	12 %
შემოსავლები და ხარჯები	13 %
საერთო ჯამში :	100 %

დანართი 4 \_ სრული პროექტის შეფასების პროცედურები



დანართი 5 \_ სოფლის განვითარების საგრანტო კონკურსში დადგენილი კვოტები

პროექტის ჯგუფი	პროექტების მაქს. რაოდენობა თითოეული პრიორიტეტისათვის	პროექტების მაქს. რაოდენობა თითოეული თემისათვის
დაბალ ბიუჯეტისანი	10	4
საშუალო ბიუჯეტისანი	3	2
მაღალ ბიუჯეტისანი	1	